1 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირადღე, «ა», [II], მწ

2023 კვირა

ეზეკ 18,25-28; ფს 24; ფილიპ 2,1-11; მთ 21,28-32

მისიონერთა თვე

მებაჟეები და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სამეფოში მთ 21,31

მღვდელმთავარი და ხალხი იესოს უსმენენ. მძიმე შეურაცხყოფად გაისმის ეს სიტყვა მათთვის, არადა ეს სრული სიმართლეა. იმდენად ამაყები და თავდაჯერებულები არიან, რომ უკუაგდებენ ფიქრს მაცხოვარზე. უბედურ ცოდვილთ ჰყოფნით თავმდაბლობა იმისათვის, რომ იესოსაგან ბოძებული ხსნა მიიღონ.

2 ოქტომბერი

წმ. მფარველ ანგელოზთა, (მ), [ს], თ

2023 ორშაბათი

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

ისმინე მისი ხმა,
ნუ ათუჯანყდები მას გამ 23,21

ღმერთი შეაგონებდა ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლებულ ხალხს. დიახ, ხალხი უდაბნოშია, უკაცრიელ ადგილას, მაგრამ თითოეულს თან ახლავს ანგელოზი, ისინი რჩევებს აძლევენ მათ. ამიტომაც, არავისი არ უნდა ეშინოდეს, სმენად უნდა გადაიქცნენ მისი ხმის გაგონებაზე. შენი მფარველი ანგელოზი გვედით გყავს და გიცავს: დააფასებ მის ჯაფას!

3 ოქტომბერი

2023 სამშაბათი

ზაქ 8,20-23; ფს 86; ლკ 9,51-56

გავიგეთ, რომ თქვენთანაა ღმერთი ზაქ 8,23

ნამდვილად უმართლებს ღვთის ხალხს, რადგანაც გადამწყვეტი როლი შეიძინა მთელს კაცობრიობაში: მას მოუწევს ყველა დანარჩენი ხალხის წინამავლობა, რომ ყველა ეზიაროს მამის სიყვარულს. საკმარისი იქნება მორჩილება, შემდეგ უკვე თავად ხალხი დაუწყებს მას ძებნას, წმინდა შურით, რათა შეწევნა მიიღონ მამისთვის მოსაწონი ცხოვრების მოსაპოვებლად.

4 ოქტომბერი

2023

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. ფრანცისკე ასიზელი, +1226, (მ), თ

ოთხშაბათი

გალ 6,14-18; ფს 15; მთ 11,25-30

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

იტვირთეთ ჩემი უღელი მთ 11,29

როდესაც წმინდა ფრანცისკეს ვიხსენებთ, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე ვამახვილებთ ყურადღებას. იგი იესოსთან ერთად იღწვოდა, მასთან ერთად ატარებდა უღელს, ანუ მორჩილებაში განიცდიდა მისი ჯვრის ტკივილებს, როგორც ზნეობრივს და ასევე ხორციელს. იესოს მსგავსად, ფრანცისკეც დამცირებული იყო და მის მსგავსად იღვრებოდა სისხლი მისი ხელფეხიდან.

ხუთშაბათი

ნე 8,1-4.5-6.7-12; ფს 18; ლკ 10,1-12

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გაგზავნით თქვენ, როგორც
კრავებს მგლებს შორის ლკ 10,3

კრავები თავს ვერ იცავენ. ისინი მწყემსს ეკედლებიან. მას უჭირავს ხელში ჯოხი. მგლებს შეუძლიათ მათი განადგურება, თუმცა ცხოვრების შეცვლაც შეუძლიათ. სწორედ ამაზე ამბობს წინასწარმეტყველი: "მგელი და კრავი ერთად მოსძოვენ". ამიტომ აგზავნის იესო თავის მოწაფეებს მათ შორის!

6 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II], მწ

წმ. ბრუნო, ბერი, +1101

2023

პარასკევი

ბარ 1,15–22; ფს 78; ლკ 10,13–16

ვინც თქვენ მოგისმენთ, მე მომისმენს ლკ 10,16

ძალზედ მნიშვნელოვანია მოწაფეთა ქადაგება. ქადაგების წყალობით, ადამიანები იესოს უსმენენ და რწმენაში ექცევიან. არ კმარა მხოლოდ სასწაულების ხილვა. ისინი ვერ გადაარჩენენ მათ, სასწაული მხოლოდ ნიშანია, რაც რწმენაში მოქცევას ეხმარება. გადამწყვეტი მოციქულთა ხმის მოსმენაა!

7 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II], მწ

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

2023

შაბათი

ბარ 4,5-12.27-29; ფს 68; ლკ 10,17-24

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნეტარრია თვალები, რომლებიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ ლკ 10,23

ისინი თავიანთი პირველი მისიიდან ბრუნდებოდნენ, როცა ასე ელაპარაკა მათ იესო. მოწაფეები მიღწეულის გამო არ უნდა ხარობდნენ, მათი ერთადერთი სიხარული უფლის სახის ხილვა და მისი ხმის მოსმენაა. ის არის სიხარულის წყარო. დღეს მარიამი გვამხნევებს ღმერთის - ჩვენი მაცხოვრის სიხარულში.

8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირადღე, «ა», [III], მწ

2023 კვირა

ეს 5,1-7; ფს 79; ფილიპ 4,6-9; მთ 21,33-43

ლოდი, რომელიც მშენებლებმა
დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა მთ 21,42

ასე ასრულებს იესო იგავს, მას ამით ხალხის მეთაურთა შეფხიზლება სურდა, ასე ჯიუტად რომ უარყოფენ მას. ჯერ კიდევ იმ ფსალმუნს უნდა გამოეღვძა ისინი, ამ სიტყვებს რომ გალობს. სწორეს ის, იესო, უგულებელყოფილია გავლენიანი ხალხის მიერ, მაგრამ არა ღმერთისგან. პირიქით, ღმერთი განამტკიცებს მის არსებობას, ჯერ მის მიერვე მოხდენილი სასწაულებით, შემდეგ კი მკვდრეთით აღდგომით.

9 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. დიონისე ეპ. და მეგ., წამ., +IIIს.
წმ. იოანე ღვონახდი, ხუც., +1609

2023

ორშაბათი

იონ 1,1 – 2,1.11; ფს: იონ 2,3-5.8; ლკ 10,25-37

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

ასე მოიქეცი და იცოცხლებ ლკ 10,28

იესო, შენ არ გამშვიდებს მხოლოდ ის, რომ მამის ნება ვუწყით: იცოდე და არ ასრულებდე, არა მხოლოდ ფუჭი ცოდნაა, არამედ საზიანოც! იცოდე ის, რომ ღმერთი ჩვენგან მოყვასთა სიყვარულს ითხოვს და არ ასრულებდე, სახეში ნაცრის შეყრას გავს. ამიტომაც, სასოებით ვასრულებთ მოვალეობებს: შენ მოგვცემ ყოველი კაცის სიყვარულისთვის საჭირო ძალას და სიხარულს.

სამშაბათი

იონ 3,1-10; ფს 129; ლკ 10,38-42

საჭირო კი მხოლოდ ერთია ლკ 10,42

იესო, შენი ამ სიტყვით დიდ საზრუნავს გვაცილებ. სწორედ ასე გინდოდა გაგეთავისუფლებინა მართა თავისი საქმეებიდან და, დაგემშვიდებინა მარიამი, შენ რომ გისმენდა, რის გამოც საყვედურს იღებდა დისგან. დღეს, მეც ჩამოვჯდები შენ ფეხებთან, რომ მივიღო შენი გამოცხადებები და შენი სწავლება.

11 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963

2023 ოთხშაბათი

იონ 4,1-11; ფს 85; ლკ 11,1-4

ვიცოდი, რომ შემწყნარებელი ღმერთი ხარ და მიმტევებელი იონ 4,2

ჩვენ წავიკითხეთ იონას ამბავი. იონა წინასწარმეტყველია, ამბობს ღვთის სიტყვა, მაგრამ მისგან როდი სწავლობს: არ აქვს უბედურ ცოდვილთა მიმართ გულმოწყალება. მათი დასჯა სურს. მე ვიცი, რომ ღმერთი მოწყალეა, მაშ, რა-ტომ არ შევიმეცნებ მისგან?

12 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

2023 ხუთშაბათი

მალ 3,13-4,2; ფს 1; ლკ 11,5-13

მომაბეზრებლობის გამო მაინც ადგება ლკ 11,8

იესომ შეასწავლა ლოცვა, ახლა კი ასწავლის როგორ ილოცონ. ლოცვის სიტყვებს ადვილად ითვისებ, მაგრამ უფრო რთულია იმ გრძნობების გათავისება, რითაც მამას უნდა მიმართო. იესო ამ იგავს სწორედ იმიტომ ყვება, რომ აგვიხსნას როგორ ვილოცოთ.

პარასკევი

იოელ 1,13-15;2,1-2; ფს 9; ლკ 11,15-26

ღვთის თითით ვდევნი ეშმაკებს ლკ 11,20

იგი ეშმაკთან კავშირში დაადანაშაულეს. ეშმაკი არ ასრულებს საღმრთო საქმეებს, ანუ კაცთა მიმართ სათნოებებს. ეშმაკს მხოლოდ ბოროტების კეთება, მხოლოდ ტკივილის მიყენება გამოსდის. იესომ თავისი სენისგან იხსნა მუნჯი: ამაში მხოლოდ ღვთის ხელი ურევია, ეს მისი ჭეშმარიტი და კონკრეტული სიყვარულის გამოხატვაა.

14 ოქტომბერი 2023

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ
(1.X) დღესასწაული კვახთისა; წმმ. მიხიან და ნანა, IVს.; წმ. მეღქისედეკ I, კათაღიკოს-პატხიახქი, +1033 წმ. კალიქსტე I, პაპი და წამ., +222

შაბათი

იოელ 4,12-21; ფს 96; ლკ 11,27-28

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)

მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი სიონზე

იოელ 4,17

საშინელი მოვლენები მოელით,- ამბობს წინასწარმეტყველი იოელი, -ღმერთის მოღალატე ხალხს, ხოლო, ამ დროს, მისი ერთგულნი მოილხენენ. ისინი, ფაქტობრივად, გადარჩებიან. შიში გა-ნეშორებათ ღვთის მეგობრებს. ეს მათ არ ეხებათ. არადა მცირედმორწმუნენი იქნებოდნენ!

.

15 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023 კვირა

ეს 25,6-10; ფს 22; ფილიპ 4,12-14.19-20; მთ 22,1-14

ქორწილის სუფრა მზად არის მთ 22,8

კიდევ ერთი იგავი ცათა სასუფევლის გასაცნობად. როგორც ხელმწიფის ძის ქორწილზე აქაც ისე ხდება. თუკი სტუმართაგანი არ ვარ, ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც მის ადგილს დაიკავებს. მე მაინც იქ ვიქნები. და მე ჩავიცვამ საქორწინო სამოსს, რასაც თავად ხელმწიფე შემომთავაზებს. უპრეტენზიოდ, და არა სხვებივით, ვინც ფიქრობს, რომ ამის უფლება აქვს. ყოველდღიურად გამოვხატავ ჩემს თავმდაბლობას.

16 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

წმ. იადვიგა, მონ., +1243;
წმ. მახგახიტა მახია აღაკოკ, ქაღწ., +1690;
წმ. ჯუზეპინა ვანინი, ქაღწ., +1911

2023

ორშაბათი

რომ 1,1-7; ფს 97; ლკ 11,29-32

წმ. კამილოს ასულთა დღესასწაული

მივიღეთ მადლი და მოციქულობა *რომ 1,5*

წმ. პავლე იმპერიული ქალაქის - რომის ქრისტიანებს ასე წარუდგენს თავს: „მისი მეშვეობით“, - ანუ იესოსი, - ისიც მოციქულია, წარგზავნილია იმ ამბის საუწყებლად, რომელიც სიხარულს მიჰგვრის ყველას, ვინც მას ისმენს. ფაქტობრივად, მოსმენითა და მორჩილებით ხდებიან ადამიანები ჭეშმარიტი და წმინდა ღმრთის შვილები.

17 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2023

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ., +~107, (მ), წ

სამშაბათი

რომ 1,16-25; ფს 18; ლკ 11,37-41

გაეცით მოწყალებად,
რაც ჭურჭლის შიგნითაა ლკ 11,41

ეს იმისთვის, რომ უგუნურები არ ვიყოთ. მრავალი ფიქრობს, რომ სუფთანი არიან, რადგანაც ხელები დაიბანეს: ეს ნამდვილი უგუნურებაა! სუფთაა ის, ვინც საკუთარი ცხოვრება სიყვარულის წყალობად აქცია. ღმერთი მოხედავს ღატაკის ცარიელ ხელებს! ვიზრუნოთ იმაზე, რომ ფულმა ჩვენი ხელები არ დააბინძუროს!

18 ოქტომბერი

2023

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღიხსი გჩიგოდ ხანძთელი, +861;/კლიჯეთის უდაბნოს ღიხსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს.

ოთხშაბათი

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

თავდაჰპირველად თქვით:
მშვიდობა ამ სახლს! ლკ 10,5

რამდენჯერ უთქვამს ეს წმინდა ლუკას! სადაც არ უნდა მივიდეს იესოს მოწაფე, იქ მივა ღვთის წყალობაც, მისი სიყვარული, ნუგეში, თვინიერება და კეთილგანწყობა. ვიდრე ცოდვიდან გამოვსწორდებით, მანამდე მადლი უნდა მოვიდეს.

19 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს;/წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., +1775

2023

ხუთშაბათი

რომ 3,21-30; ფს 129; ლკ 11,47-54

არ́ც თქ́ვენ შესულხარ́თ და
შემსვლელებიც́ შეაფერ́ხეთ ლკ 11,52

ეს ისეთი საყვედურია, რასაც რჯულის მოძღვრები, ღვთის სიტყვის სწავლულები იმსახურებენ. მათ უკუაგდეს იესო და არ დაეხმარნენ -სამეფოს მეფის შეცნობაში, მიღებაში და გაყოლაში. ეს საყვედური ჩემზე არ უნდა გაისმოდეს იესო, მინდა, რომ ყველას, ვინც კი მცირედ სიყვარულს ეძებს, შენი თავი გავაცნო.

20 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2023 პარასკევი

რომ 4,1-8; ფს 31; ლკ 12,1-7

იმათი ნუ შეგეშინდებათ,
ვინც სხეულს კლავს ლკ 12,4

ერთმანეთს თელავდნენ, იმიტომაც რომ მრავლად იყვნენ. იესო უშიშრად ეუბნება ამ სიტყვებს ყველას. მის მიმდევარს, შეიძლება დევნიდნენ და კლავდნენ კიდეც, მაგრამ არ უნდა შეშინდეს. მანუკვე მოიპოვა სიმდიდრე, ვიდრე მასზე იარაღის ამწევმა. შიში არ ჩვევიათ წმინდანებს.

21 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2023 შაბათი

რომ 4,13.16–18; ფს 104; ლკ 12,8–12

რწმენის ძალით ხდებიან მემკვიდრენი რომ 4,14

აბრაამი ქვეყნიერების, ანუ ღმრთის მთელი სიმდიდრის მემკვიდრე გახდა, რადგან ირწმუნა და დაემორჩილა მას. ჩვენ გვწამს იესო: მთელი მისი სიკეთე, მისი ცხოვრება, სიწმინდე, ნამდვილი მშვიდობა უკვე ჩვენ გვეკუთვნის, გზა და გზა მოვიპოვებთ მას, მორჩილებაში.

22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირადღე, «ა», [I], მწ

2023 კვირა

ეს 45,1.4-6; ფს 95; 1თეს 1,1-5; მთ 22,15-21

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას

მთ 22,16

ამ სიტყვებს იესოს ცბიერებით, მაამებლობით ეუბნებოდნენ. ჩვენ მას სიყვარულით ვეუბნებით, ამით ვპირდებით კიდეც, რომ შევასრულებთ მის მცნებებს. ის გვეუბნება, რომ ღმერთს ის მივცეთ, რაც უკვე მას ეკუთვნის. მაშ, დავუთმოთ მას ჩვენი დრო, გული, ხელები და ყველაფერი, რაც მისგან მიგვიღია.

23 ოქტომბერი

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუც., +1456

2023

ორშაბათი

რომ 4,20-25; საგ. ლკ 1,68-75; ლკ 12,13-21

მოძღვარო, თუთხარი ჩემს ძმას,
რომ მემკვიდრეობა გამიყოს ლკ 12,13

იესო ხშირად ისმენს ამ კითხვას. ძმათა შორის ბევრია ხარბი, ვინც ყველაფერს თავისთვის იხვეჭს, ბევრია ფულზე მიჯაჭვული, ვინც მხოლოდ ადამიანურ სამართალს აღიარებს. სამაგიეროდ... იესო, მათ ბევრად უფრო დიდ მოსახვეჭელს ჰპირდება.

24 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. ანტონ მახია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბაღდო, წმ. იოსების პატარა ქა-
ღიშვიღთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

2023

სამშაბათი

რომ 5,12.15.17-19.20-21; ფს 39; ლკ 12,35-38

ერთის მორჩილებით
ბევრი გახდება მართალი რომ 5,19

უფალო იესო, შენმა მორჩილებამ გადა-
გვარჩინა. შენ მამის მორჩილი გახდი,
გიყვარდა მაშინაც, როცა გიღალატეს,
გტანჯეს, მოკლეს. თქვენმა სიყვარულ-
მა ჩვენ „გაგვამართლა“, ღმერთისთვის
მოსაწონად გვაქცია, თუმცაღა, ამას არ
ვიმსახურებდით. ახლა, გვსურს მადლი-
ერების გრძნობით დაგლოცოთ, გაქოთ
და განგადიდოთ.

25 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

2023 ოთხშაბათი

რომ 6,12-18; ფს 123; ლკ 12,39-48

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ ლკ 12,48

ზოგიერთ შენს მსახურზე უხვად გაეცი: დააკვირდები, მოიხმარენ თუ არა შენდამი ერთგულებით. სხვებს კი ყველაზე ძვირფასი სიმდიდრე ჩააბარე: ისინი შენია და შენი იქნება მაშინაც, როცა შენი მსახურნი ისარგებლებენ. ეს შენი სიტყვა და შენი წმინდა საიდუმლოებებია. მათ, ვისაც ენდობიან, პასუხისმგებლობაც დიდი ეკისრებათ: მათგან ბევრად მეტი მოეთხოვება.მე ვლოცულობ მათთვის.

26 ოქტომბერი

2023 ხუთშაბათი

რომ 6,19-23; ფს 1; ლკ 12,49-53

გაიქოფიან, მამა ძის წინააღმდეგ ლკ 12,53

ღრმა საიდუმლოა. ვისაც შენ უყვარხარ
და მოგყვება, ამქვეყნად შენი სიყვა-
რულის მატარებელია. მაშ, რად არიან
უარყოფილნი? მათ შენი ჯვარი უნდა
ზიდონ. ადამიანურ სიყვარულს ვერ გა-
უგია ღვთიური სიყვარული: თუკი კაცის
გულშია შენი ძე - იესო, მისი სიყვარული
სხვებს არ ესმით.

27 ოქტომბერი

2023 პარასკევი

რომ 7,18-25; ფს 118; ლკ 12,54-59

ვეღარ გამოხვალ იქიდან, ვიდრე უკანასკნელ ლეპტასაც არ გადაიხდი ლკ 12,59

იესოს სურს ჩვენი დახმარება, რომ უკუვაგდოთ ყოველივე ამქვეყნიური, რადგანაც ამქვეყნისანი არიან უმოწყალო მტერნი. მათ დავუტოვოთ წარმავალი საქმენი, რათა მათ ილხინონ, ვინც რჩებიან.

28 ოქტომბერი

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

2023 შაბათი

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ძალა გამოდიოდა მისგან და ყველას კურნავდა ლკ 6,19

მოციქულები, რომლებსაც დღეს ვიხსენებთ, დიდად ცნობილნი არ არიან, მაგრამ ისინიც თორმეტს მიეკუთვნებიან. ისინი ეკლესიის სვეტები არიან, რადგან მათ რწმენაზეა აგებული. მათ იესოსგან მიიღეს ხელმწიფება ადამიანთა განკურნებისა და გამოსყიდვისა. ამ ორ მოციქულს შევთხოვთ, რომ გვაჩვენონ იესოს გამკურნებელი ძალა.

29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირადღე, «ა», [II], მწ

2023 კვირა

გამ 22,20-26; ფს 17; 1თეს 1,5-10; მთ 22,34-40

გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი
მთელი შენი გულით მთ 22,37

„დიდი მცნება“ არის ეს და ვიცით, რატომაც: სიყვარული ღმერთის სიცოცხლეა, მისი მარადიულობა, მისი სიწმინდეა. როცა გვიყვარს, მის ცხოვრებას, მის სიწმინდეს, მის მარადისობას ვეზიარებით. მთელი გულით შევიყვარებთ უფალსა ჩვენსა; და მისი სიყვარულის გამო, მუდამ სიყვარულში ვიქნებით ყველას მიმართ. როგორ უნდა მიყვარდეს? როგორც იესოს.

30 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II], მწ

2023 ორშაბათი

რომ 8,12-17; ფს 67; ლკ 13,10-17

დედაკაცო, თავისუფალი ხარ
შენი სნეულებისგან ლკ 13,12

თვრამეტი წელი იტანჯებოდა ეს ქალი. თავს მაღლა ვერ სწევდა, ცაზე რომ შეეხედა. თვრამეტი წლის წინ გაუმხილა იესომ მის მშობლებს, რომ მამის საქმეებით უნდა დაკავებულიყო. და მართლაც დღენიდაგ ასე იქცევა, და დღეს შეძლებს იმ ქალთან შეხვედრას და სნებიდან მის გათავისუფლებას... სწორედ შაბათ დღეს, მამის სიხარულის დღეს!

31 ოქტომბერი

2023 სამშაბათი

რომ 8,18-25; ფს 125; ლკ 13,18-21

იმედით ვიქენით დახსნილნი რომ 8,24

მრავალი ტანჯვაა მსოფლიოში და ყველაფრის მიზეზი ცოდვაა, რაც მარწუხებში აქცევს ადამიანს.
თუმცაღა, ვიცით, რომ იესო მოვიდა ბოროტი ძალისგან ჩვენს გამოსახსნელად.
ჩვენ ველით და ვცდილობთ მასთან შეხვედრას, გვჯერა, რომ ჩვენი იმედი ახდება.